

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ
გრიგოლ მგალობლიშვილს

ასოციაცია მწვანე ალტერნატივას

ადმინისტრაციული საჩივარი

“გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატერების შესახებ” საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბერის №1-1/2485 ბრძანების გაუქმებისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დასრულებამდე მისი შეჩერების თაობაზე

მოგახსენებთ, რომ 2008 წლის 10 ნოემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/2485 ბრძანება. ამ ბრძანების საფუძველზე, გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის მიზნით, გამოცხადდა აუქციონი. აუქციონზე გამოტანილია 64 ლოტი, რაც მთელი საქართველოს მასშტაბით მოიცავს 165 752 ჰა-ს.

აღნიშნული ბრძანების გამოცემით დარღვეულია საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ: საქართველოს ტყის კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 35-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების, 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის, “გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” კონვენციის (შემდგომში - ორჰუსის კონვენცია) მე-6 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 53-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილების მოთხოვნები.

მსგავსი შინაარსის საჩივრით მწვანე ალტერნატივა უკვე მესამედ მიმართავს პრემიერ-მინისტრს. ყოველ ჯერზე საჩივრებში მოყვანილ ჩვენს არგუმენტებს მოპასუხე უპირისპირებს ან კანონმდებლობის თავისთვის მოსახერხებელ ინტერპრეტაციას, ან საერთოდ უპასუხოდ ტოვებს, ხოლო საჩივრის განმხილველი უპირობოდ ეთანხმება ამ დასაბუთებას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ რაციონალურ აზრს მოკლებულია დაწვრილებით დავასაბუთოთ თითოეული ზემოთ ხსენებული მუხლის დარღვევა.

ამ თვალსაზრისს ამყარებს ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის პროცესი, როდესაც პრემიერ-მინისტრისგან მოვითხოვეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 სექტემბრის №1-1/1788 და 2008 წლის 5 სექტემბრის 1-1/1801 და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დასრულებამდე. გასაჩივრებული აქტებით გამოცხადებული იყო აუქციონები ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის მიზნით. განხილვა კი ჩატარდა ამ ბრძანებით გამოცხადებული აუქციონების გამართვის შემდეგ, როდესაც საჩივრის განხილვას და ბათილად ცნობის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებას აზრი ჰქონდა დაკარგული. ამდენად განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ საქართველოს მთავრობა არ ცნობს თავისი მოსახლეობის/დაინტერესებული საზოგადოების კანონიერ უფლებას მონაწილეობდეს საცხოვრებელი გარემოს მნიშვნელოვან ნაწილზე - ტყეებზე დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმოდგენით, რასაც ეთანხმება და პრემიერ-მინისტრი (იურიდიული დეპარტამენტი), ორჰუსის კონვენცია არ ვრცელდება ტყეებთან დაკავშირებულ

საკითხებზე, ხოლო ტყის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლებას არაა მხედველობაში მისაღები. ასეთი მსჯელობიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობას საკუთარი უფლებების დასაცავად ყველა კანონიერი გზა ეჭრება და აზრის გამოსახატავად მხოლოდ პროტესტის გამოხატვის უკიდურესი ფორმები რჩება. ასევე, საგანგაშოა და ცალკე ეჭვების საფუძველს იძლევა ტყითსარგებლობის ლიცენზიების გაცემისას კორუფციული სქემებისა და ინტერესთა კონფლიქტების ვერდანახვა.

გასაჩივრებული ბრძანებით კანონდარღვევის ფაქტების თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის, გთხოვთ გაეცნოთ თანდართულ დოკუმენტებს: ეუთოს პროექტის "ორჰუსის ცენტრი საქართველოში" მიერ მომზადებულ დასკვნას „საქართველოში ხე-ტყით სარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიების გაცემის პირობების შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასა და ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებთან“; საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენების 20 თავის „გარემოს დაცვა“ ნაწილს, რომელიც ეხება ხე-ტყის დამზადების ხანგრძლივადიანი ლიცენზიების გაცემის მიზნით ჩატარებული აუქციონის კანონიერების საკითხს.

ზემოთ დასახელებული საკანონმდებლო აქტების დარღვევის გამო მოვითხოვთ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბერის №1-1/2485 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
2. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეჩერდეს გასაჩივრებული აქტის მოქმედება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დასრულებამდე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ეს მოთხოვნა არ შეიძლება განიხილებოდეს „ლიცენზიებისა და ნებართვების კანონის“ 23-ე მუხლში მოხსენიებულ შემთხვევად, ვინაიდან ჩვენ არ ვითხოვთ ლიცენზიის გაცემის, მის გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. ასევე არ შეიძლება ამ მოთხოვნის არდაკმაყოფილების საბაზი გახდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოშველიება, სადაც აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს. ასე მოხდა ჩვენი წინა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას, როცა მთავრობის კანცელარიამ შეჩერების პასუხისმგებლობა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადააბარა, ხოლო მინისტრმა გამოსცა ბრძანება №1-1/2118, რომლითაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით არ შეაჩერა აუქციონი, ვინაიდან მათი განმარტებით სახელმწიფო ბიუჯეტი დაკარგავდა მინიმუმ 25815000 ლარს. როგორც ყოველთვის სამინისტრო ბრძანებების გამოცემისას ახდენს კანონმდებლობის არასწორ, მაგრამ მისთვის მოსახერხებელ ინტერპრეტაციას. ჯერ ერთი, აუქციონის შედეგად, ლიცენზიების ფასმა მიაღწია 19 681 000 ლარს, რომელიც ეტაპობრივად, 1 წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს გამარჯვებულმა. რაც მთავარია აუქციონის გადადება საჩივრის განხილვის დასრულებამდე ვერანაირად ვერ გამოიწვევს ბიუჯეტის ფინანსურ დანაკლისს, ვინაიდან აუქციონის ჩატარება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ განხილვა ჩატარდება და გასაჩივრებული აქტი არ იქნება ბათილად ცნობილი.